კონკურსი მუსიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის კალიარის სამუსიკო კონსერვატორიაში (Cagliari Music Conservatory) მობილობისთვის.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ელექტრონული მუსიკის მიმართულების სტუდენტებს.

მობილობა უნდა განხორციელდეს 2026/27 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

- მობილობის ხანგრძლივობა - 4 თვე
- სტიპენდიის რაოდენობა:
    - მგზავრობის ხარჯი: 580 ევრო
    - თვიური სტიპენდია: 900 ევრო

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სააპლიკაციო ფორმა უნდა შეავსონ **2026 წლის 23 ოქტომბერს 18:00 საათამდე.**

სააპლიკაციო ფორმა

სააპლიკაციო ფორმაში სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ვალიდური პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი / Passport or ID Card
რეზიუმე / CV (სასურველია EUROPASS ფორმატში)
შესაბამისი უცხო ენის მინ. B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა / Language Certificate. ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე. გაითვალისწინეთ, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში უნდა ჩანდეს მისი მინ. B2 კომპეტენცია ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით
მიმდინარე საფეხურის ნიშნების ფურცელი გაცემული უნივერსიტეტის მიერ / Transcript of Records

შევსებული და დეკანის მიერ ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება / Learning Agreement

სასწავლო ხელშეკრულების ფორმა: ჩამოტვირთვა

- კრედიტების მინიმალური მოთხოვნა - 12 ECTS
- კურსების კატალოგი

სასწავლო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე

კურიკულუმის ექსპერტების სია

!!! ექსპერტისთვის სასწავლო ხელშეკრულების გაგზავნის ბოლო ვადა: 8 ოქტომბერი 2026, 18:00 საათი

საკონკურსო პერიოდში გაცემული აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა / Proof of Enrollment

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის შემოტანის დროს სტუდენტისათვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში სწავლას ვერ ასრულებს (უწევს დამატებითი სემესტრის გავლა), აღნიშნული უნდა აისახოს სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობაში.

სამოტივაციო წერილი / Motivation letter

სტუდენტის ნამუშევარის/შესრულების ვიდეო ჩანაწერი (YouTube ლინკი) / YouTube Link (student's performance video)

მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა / Bachelor thesis proposal (only for last year Bachelor students)

სავალდებულოა მხოლოდ იმ დამამთავრებელი სემესტრის ბაკალავრებისთვის, რომლებიც გეგმავენ საბაკალავრო ნაშრომის დაცვას

კვლევის გეგმის ფორმა ჩამოტვირთვა

ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (იხილეთ მუხლი 3, პუნქტი 4) / Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant)

!!! გაითვალისწინეთ:

√ კანდიდატმა ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე. თუკი საბუთი გაცემულია მხოლოდ ქართულ ენაზე, საჭიროა მისი თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება.

√ ყველა დოკუმენტი უნდა მომზადდეს PDF ფორმატში (თითოეული დოკუმენტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10MB-ს).

√ დოკუმენტების დასათაურება უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული ინგლისურენოვანი დასახელებების შესაბამისად (მაგ.: Name Surname_Transcript of Records).

√ კონკურსანტმა ყველა საჭირო დოკუმენტი კონკურსის ვადის დასრულებამდე ერთდროულად უნდა წარმოადგინოს

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი განაცხადების მიღების ვადის გასვლამდე გამოგზავნილ განაცხადში აღმოაჩენს ხარვეზს, შეუძლია ამის შესახებ აცნობოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, რის შემდეგაც სტუდენტს მიეცემა საშუალება, საკონკურსო ვადის დასრულებამდე განახლებული განაცხადი წარმოადგინოს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რეგისტრირებულია უცხო ენის სასერტიფიკატო გამოცდაზე და კონკურსის პერიოდში არ აქვს შედეგების წარმოდგენის საშუალება, გამონაკლისის სახით, მას აქვს უფლება, ელექტრონული განაცხადის ფორმის შესაბამის გრაფაში წარმოადგინოს გამოცდაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; ვალიდური სერტიფიკატის წარმოსადგენად სტუდენტს განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ ეძლევა 7 კალენდარული დღე.

კალიარის სამუსიკო კონსერვატორიის აკადემიური კალენდარი.

ზოგადი ინფორმაცია ერაზმუს + პროგრამის კონკურსში მონაწილეობის წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ, იხილეთ ბმულზე: https://iro.iliauni.edu.ge/erasmus-iliaunis-studentebisthvis/

კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით - erasmusplus@iliauni.edu.ge